დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი განსაზღვრავს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამის კატეგორიებში ინფორმაციის მომზადებასა და განთავსებაზე, ასევე ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 2. ვებგვერდის ადმინისტირება და პასუხისმგებელი პირები

1. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ვებგვერდის რედაქტორი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ფაკულტეტების, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები და სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და ვებგვერდის ადმინისტრატორები.

2. რედაქტორი:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე მასალების განთავსებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტაზე pr@tsu.ge შემოსული მასალების მომზადებას და ვებგვერდზე განთავსებას შესაბამის კატეგორიებში (სლაიდერი, რატომ თსუ, თსუ შესახებ, სტრუქტურა, სიახლეები, ღონისძიებები (ანონსები), უნივერსიტეტის საზოგადოება, „უნივერსიტეტელი", თსუ ამბები).

ბ) უზრუნველყოფს ვებგვერდის მისი პასუხისმგებლობის სფეროში არსებული რუბრიკების (სლაიდერი, რატომ თსუ, თსუ შესახებ, სტრუქტურა, სიახლეები, ღონისძიებები (ანონსები), უნივერსიტეტის საზოგადოება, „უნივერსიტეტელი", თსუ ამბები) განახლებას.

გ) პასუხისმგებელია, უნივერსიტეტის ვებგვერდის მის პასუხისმგებლობის სფეროში არსებულ რუბრიკებში განთავსებული მასალების სტილისტურ და შინაარსობრივ სისწორეზე. უფლებამოსილია, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში შესწორება შეიტანოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის, ფაკულტეტების მიერ განთავსებულ ინფორმაციაში.

ე) უფლებამოსილია მასალების მოსამზადებლად გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულიდან.

ვ) უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი ვებგვერდისთვის მასალების შერჩევას, დამუშავებას, მასალების თარჯიმნისთვის მიწოდებას და განთავსებას შესაბამის, მის პასუხისმგებლობაში არსებულ კატეგორიებში.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხიმგებელი სტრუქტურული ერთეულები (ფაკულტეტები, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები, დეპარტამენტები და სხვა სტრუქტურული ერთეულები)

1. ფაკულტეტების ვებგვერდის მართვისთვის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში გამოყოფილი სპეციალისტი პასუხისმგებელია ინფორმაციის მოპოვებაზე, მომზადება-განახლებასა და განთავსებაზე.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ ვებგვერდისთვის მასალების მომზადება-განახლებას წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად. ინფორმაციის დადგენილ ვადაში განთავსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საზოგადობასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ასევე ადმინისტრაციულ დეპარტამენტებში განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ცენტრალური ვებგვერდისთვის მასალების დროულად მოწოდებას. ინფორმაციის დადგენილ ვადაში განთავსებას უზრუნველყოფს თსუ საზოგადობასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის, ელექტრონული ფოსტით , წერილობით შემოსული ოფიციალური მასალებისა და დოკუმენტაციის განთავსებას.

5. ვებგვერდზე მასალა აიტვირთება მხოლოდ Word Doc, PDF ან JPG ფორმატში.